



MES 0 20 0001242176



30/12/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 15.12.2020**

**სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 17:40 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული**

**სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა**

**საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი**

**საბჭოს მდივანი: თამარ ტუფინაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. ევა ევალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. გაიანე სიმონია - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. ზურაბ გვიშიანი - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. რომეო გალდავა - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ირმაწერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

### სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

### საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირინა კვაჭაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
1.	მარინა მამალაძე		სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	ლია სანოძე		სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	ხათუნა თოღაძე		ვიცე-რექტორი	I

1.	ნინო ვეფხვაძე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსი	<b>I</b>
1.	სოფიო ბახტაძე		ვიცე-რექტორი	<b>I</b>
1.	ირაკლი კორძაია		ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ	<b>II, III</b>
1.	ლელა თურმანიძე		ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	<b>II</b>
1.	მადონა მიქელაძე		ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	<b>II</b>
1.	. ნანა მაკარაძე	სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის განმხორციელებელი პირი	<b>II</b>
1.	მარიამ ჩაგელიშვილი		მოწვეული მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამის განმხორციელებელი პირი	<b>II</b>
1.	ზაირა ბერიძე		მოწვეული მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამის განმხორციელებელი პირი	
1.	როსტომ ბერიძე		პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, საგანმანათლებლო	<b>III</b>

		სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის	პროგრამის ხელმძღვანელი	
1.	პაატა ჩაგანავა	სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
1.	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს - კავკასიის უნივერსიტეტი; შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
1.	დიანა მჭედლიშვილი		შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	IV
1.	იოსებ ბერიკაშვილი		შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის დეკანი	IV
1.	მაია გონაშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	IV
1.	ქეთევან ჯინჭარაძე		შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
1.	ზაზა რუხაძე		შპს - ქართულ-ამერიკული სკოლის დეკანი	IV
1.	გია ლილუაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი		საკითხი
---	---------------	--	---------

		ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	
1	თამარ ლომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო წილოსანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლანდა ლურსმანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გოდერძი ბუჩაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ეკატერინე გიგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ჩიკვაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	გოჩა თუთბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო ფეველანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების“ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი ლალი ოდიშვილი, 2019 წლის გადაწყვეტილებებში და ოქმებში კვალიფიკაციის ფორმულირებაში და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელწოდებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების“ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
6. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
7. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილში: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მეღვინეობის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
8. „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №243 გადაწყვეტილების დანართსა და №67 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში დაფიქსირებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
9. „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037786 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
10. „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037986 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
11. „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1038166 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

**პირველი საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №139 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტომატოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სტომატოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
11	განხორციელების ადგილი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.,33, ქ.თბილისი, 0177, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

ü არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

ü დიახ

თვითაცილება ჰქონდა საბჭოს შემდეგ წევრებს: გაიანე სიმონია, ზურაბ ორჯონიკიძე, ეკა ეკალაძე. თვითაცილების საფუძველს ყველასთან წარმოადგენდა შრომით ურთიერთობას საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტის მოსაზრებით, წინასწარ გაწერილი რეგლამენტის შესაბამისად დაწესებულების მხრიდან შექმნილი იყო კომფორტული გარემო, დაცული იყო რეგლამენტი და ინტერვიუზე გამოცხადდა ყველა აღნიშნული პირი. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული იქნა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ - დიზაინი შეესაბამება კრედიტის დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემას. პროგრამის მიზანი და შედეგები რეალისტური და მიღწევადია. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურთან. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ასევე ექსპერტის განცხადებით, მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა და გარე შეფასების მექანიზები. ბიუჯეტი შეფასდა რეალისტურად. ვიზიტის

ფარგლებში, პროგრამის შესწავლისას ექსპერტების მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაიცა მხოლოდ რჩევები, რაც პროგრამას საკმაოდ დახვეწს და მეტად სრულყოფილს გახდის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მეტი გამჭვირვალობისთვის დეტალურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, მათ შორის, ქართული ენის ცოდნისა და დონის განსაზღვრით, რადგან პროგრამა არის ქართულენოვანი;
- უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული იქნას ქართული ენის სავალდებულო კურსი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესში უფრო გამჭვირვალე გახდეს კონკურსის პირობები;
- შემდგომ ეტაპზე გადასვლისას, დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „სრულიად არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, რომ განაგრძოს კომპონენტზე მუშაობა, რათა აღმოფხვრას დავალიანება. ხოლო დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციის მიცემის ნაცვლად - სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ, სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ თვითონ გადაწყვიტოს, გააგრძელებს სწავლას, შეიჩერებს/შეიწყვეტს სტატუსს;
- დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმები;
- პოტენციური დამსაქმებლების უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებაში;
- გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- თვითშეფასების დოკუმენტში მიეთითოს სადოქტორო ნაშრომის შეფასების რეგულაციაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3- ის შესაბამისი პუნქტები;
- გაცვლით პროგრამებში დოქტორანტების მეტი აქტიურობით ჩართვა;
- გაიზარდოს პროგრამაზე უცხოელი მეცნიერებისა და პედაგოგების ჩართულობა;
- გაძლიერდეს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა;
- ინტერდისციპლინური სადოქტორო კვლევების მასშტაბის გაზრდა.

მისი თქმით, აღსანიშნავია რომ ექსპერტთა რჩევების დიდი ნაწილი თვითშეფასებაშია აღწერილი.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.**

უნივერსიტეტის ხარისხის უფროსმა რჩევები ორ ნაწილად დააჯგუფა -ინსტიტუციური ტიპის რჩევები და პროგრამულ-სპეციფიკური ტიპის რჩევები.

პირველი ეხებოდა ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისება-მოზიდვის წესს და ასევე შეეხებოდა სადოქტორო კვლევის და კვლევითი კომპონენტის ერთგვარი შუალედური შეფასების მომენტს. მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისების წესი უპრეცედენტო ინვესტიცია არის დარგის განვითარების მომავლისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა ინტერვიუს დროს მკაფიოდ ვერ გამოხატეს ამ წესის ბენეფიციარი, მათი თქმით, ცალკე კონკურსის თემა არ არის ამ პროგრამაში ჩართვა. თუკი სტუდენტი ირიცხება ამ პროგრამაზე და თუ აკმაყოფილებს გარკვეულ სტანდარტებს მაგალითად: ასაკობრივ სტანდარტს 35 წლამდე და უცხოური ენის, კონკრეტულად, ინგლისური ენის გარკვეული სერტიფიკატის წარდგენას ახერხებს, ავტომატურად ხდება ამ პროგრამის ბენეფიციარი. მათი თქმით, ამისათვის არის სოლიდური თანხა გამოყოფილი, უფრო კონკრეტულად 10 მილიონი ლარი. ამ მომენტისთვის აღნიშნა, რომ ჰყავთ 13 აპლიკანტი. ყველა ამ სტანდარტის პირობის დაკმაყოფილება და პროგრამაში ჩართვა იოლ პროცედურად არ შეაფასა დაწესებულების წარმომადგენელმა.



რაც შეეხება, კვლევით კომპონენტზე მუშაობას, მან აღნიშნა, რომ ეს ფასდება ერთჯერადად და დამამთავრებელ ეტაპზე მესამე ბრძანებაში მკაცრად გაწერილი წესით. ყოველწლიური ატესტაცია უნივერსიტეტის ხარისხის უფროსის თქმით, სტუდენტისთვის კვლევის სუსტი და გასაუმჯობესელი მხარეების გამოვლენას ემსახურება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მარინა მამალაძემ, მაღლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფს. უნივერსიტეტისთვის მისი განცხადებით დიდი სიამაყეა ის ინვესტიცია, რაც ჩადებულია დოქტორანტთა წამახალისებელ პროგრამაში. იგი 2012 წლიდან 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტომატოლოგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და მისი თქმით, ამ რვა წლის მანძილზე მხოლოდ 12 სადოქტორო ნაშრომი იქნა დაცული. ეს, მისი განცხადებით, ძალიან პატარა ციფრია, ბევრი ყოფილი სტუდენტი თავს იკავებს და მიდის კერძო სექტორში სამუშაოდ იმისთვის, რომ დააგროვოს ფინანსები სადოქტორო კურსზე ჩასაბარებლად. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის მხრიდან სერიოზული ინვესტიციაა, რომელიც მომავალი თაობის კვლევების წარმოებისთვის მართლაც ძალიან წამახალისებელია. უნივერსიტეტი მყარად დგას ფეხზე - 72 ქვეყნიდან 2500 საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს და მათი დამსახურებაა, რომ დაწესებულებას გააჩნია სახსრები დოქტორანტურაში მსგავსი ინვესტიციის ჩადებისთვის. ამ ხნის განმავლობაში დაცული თემები არის ინტერდისციპლინური და ფიქრობს რომ ზუსტად ეხმიანება იმ რჩევებს, რაც ექსპერტმა წარმოადგინა.

მან განაცხადა, რომ ისინი ამყობენ არაჩეულებრივი უნარების ცენტრით. ეს საფანტომო კურსი, რაც კვლევაშიც ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, დუბლირებული აქვთ. პირველ ადგილად დაასახელა ადგილი, სადაც საფანტომო კურსია განლაგებული, ხოლო მეორე შედარებით დაბლა, სადაც ასევე არის აღჭურვილობა იმ პირთათვის, რომელთაც განსაკუთრებული შესალებლობები აქვთ.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:12**

**დასრულების დრო: 16:17**

## **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

ü საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

## **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**მეორე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 (I კორპ.)
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

ü არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 26 ოქტომბერს. აღნიშნული პროგრამა შედგა და გავითარდა (GIZ) და მაგდებურგის ოტო ფონ გერიკის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. მათ ჰქონდათ ჩართვები აკადემიურ პერსონალთან, ასევე გერმანიის წარმომადგებლებთან.

ექსპერტმა წარმოადგინა რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები; საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგები უნდა იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული კვალიფიკაციასთან უფრო მეტ შესაბამისობაში;
- სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის ეფექტურად გამოყენების მიზნით, დაშვების წინაპირობად უნდა იყოს მითითებული B2;
- პროგრამის მიზნებს, შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის მიზნით, მოხდეს იდენტიფიცირება, ვინ იქნება კურსდამთავრებული, რა ცოდნა და კომპეტენცია უნდა გამოუმუშაოს პროგრამამ;
- პროგრამით განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- პროგრამის მიზნები უნდა დაიხვეწოს და ამოღებული იქნას ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც არ უკავშირდება სწავლება-სწავლის და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიასა და ტექნიკებს; მისი განცხადებით, ამის ნაცვლად უნდა იყოს კვალიფიკაციასთან შესაფერისი კურსები;
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ თავისი შინაარსითა და მიზნებით ვერ პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ასევე არის კურსი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ 1 ლიტერატურა იყო მითითებული და ამ კუთხით შეიძლება მეტად მისი გამრავალფეროვნებაც;
- გამოკითხვის დროს დამსაქმებელი, მისი თქმით, უმჯობესი იქნება, იმ პროგრამის კუთხით იყოს გამოკითხული, რომელ პროგრამასაც სთავაზობს კურსდამთავრებულს.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.**

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მომზადდა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ინიციატივით განხორციელდა წინამდებარე პროგრამის წინასწარი ექსპერტიზა (შეფასება) ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ. აღნიშნულ მომერანდუმზე დაყრდნობით, მუშაობა დაიწყო ოთხმა უნივერსიტეტმა. მან აღნიშნა, რომ ამ პროცესს შემოუერთდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროგრამა ახალია საგანმანათლებლო სივრცისთვის და ისინი პირველ რიგში გაეცნენ გერმანულ პროგრამებს და ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ მათთან. ასევე, ურთიერთობა ჰქონდათ მაინცის უნივერსიტეტთან და გერმანელი ექსპერტებისგან მიღებული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს. მან ასევე ისაუბრა უშუალოდ დამსაქმებლებზე და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის სახელწოდება და მიზნები, შედეგები ყველაფერი სამუშაო ჯგუფის მიერ იქნა შემუშავებული და შეთანხმებული განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან. სამუშაო პროცესის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იკრიბებოდნენ და გადიოდნენ ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

GIZ-მა სამი წლის განმავლობაში გადაამზადა ამ პროგრამის განმახორციელებელი პირი. ასევე დაამატა, რომ შესყიდული იქნა ყველა საჭირო ლიტერატურა და ისინი ქართულად ითარგმნა.

ამ პროგრამის შეფასება მოხდა, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების მიერ. მან აღნიშნა რომ ეტაპობრივად ხვდებოდნენ დამსაქმებლებსაც. სამუშაო ჯგუფი ორჯერ შეხვდა საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულების წარმომადგენლებს.

რაც შეეხება პროგრამის მიზნებს, სამაგისტრო პროგრამა მისი თქმით, ახალია და რთულია შემოიტანო ისეთი პროგრამა, რომელსაც ანალოგი არ ჰყავს. შესაძლებელია რომ პროგრამის მიზნები არ იყოს ბოლომდე დაკონკრეტებული, თუმცა აღნიშნა რომ დაწესებულება ორიენტირებულია განვითარებაზე და პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში იმუშავებენ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

პროგრამა ორიენტირებულია პროფესიული განათლების მომავალი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ დასაქმებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ან/და პროფესიული განათლების მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო ან/და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში და სხვ. რაც შეეხება პროგრამის მიზნებში ადამიანური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერს „შეძლებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების დინამიკური განვითარების საფუძველზე სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას“. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ნებისმიერი რგოლის წარმომადგენელი პასუხისმგებელი უნდა იყოს გუნდის ყველა წევრის პროფესიულ განვითარებასა და ამ გზით სამუშაო გარემოს ეფექტიანი მართვის ხელშეწყობაზე. ერთ-ერთ მიზნად დაწესებულების წარმომადგენელმა განსაზღვრა დარგის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი მრავალმხრივი პერსპექტივის მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს პროფესიული განათლების სფეროში სწავლებისა და შეფასების მიმართ ახალი მიდგომების კვლევას და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე პროფესიული დაწესებულების სექტორში ცვლილებების განხორციელებას.

მისი თქმით მათ ამ მიმართულებით არ აქვთ კვლევები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ორიენტირებულია პროფესიული განათლების სპეციალისტის მომზადებაზე, რომელსაც ექნება პროფესიული განათლების სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმების საშუალება, ამრიგად, პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციები მნიშვნელოვანია დარგში მისი წარმატებული საქმიანობისთვის. ინსტიტუცია ფიქრობს, რომ პროფესიული განათლების სპეციალისტისთვის თანაბრად საჭიროა, როგორც პროფესიული განათლების სფეროს (სწავლება-სწავლის და შეფასების ახალი მიდგომების საჭიროების დადგენა/ადაპტაცია/განხორციელება), ასევე მისი ხელშეწყობი ჯანსაღი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნისა და შემუშავების ცოდნა.

„საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი 50%-ზე მეტია“. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების ხვედრითი წილი, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ კვალიფიკაციას და დეტალური სფეროს დასახელებას.

შემდეგი რეკომენდაცია, უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, ეხებოდა ინგლისურის დონეს. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის დადგენილებაში არის ასეთი ჩანაწერი - ჩასაბარებელი უცხო ენა უნივერსიტეტის „ლინგვისტიკის“ და „ევროპისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის არის - B2 დონე, ხოლო სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის - B1 დონე.“ მან აღნიშნა, რომ ამ ჩანაწერით იხელმძღვანელებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არიან მზად შეცვალონ არსებული საკითხი. მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული პროგრამა ემსახურება ქართულ საგანმანათლებლო

სივრცეში არსებული კადრების შევსებას. რაც შეეხება პარტნიორ გერმანულ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას, დაწესებულება თვლის, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრული B1 დონე, რომელიც მინიმალური სტანდარტია, რადგან მობილობის შესაძლებლობით ძირითადად სარგებლობენ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გაამახვილა ყურადღება ლიტერატურაზე და აღნიშნა რომ დიდი რაოდენობის ლიტერატურა არის შეძენილი და თარგმნილი. მისი განცხადებით უნივერსიტეტში ყველა, სანამ დაიწყება კურსის განხორციელება, ვალდებულია სტუდენტურ პორტალზე ატვირთოს ქართულენოვანი „რიდერი“.

მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსების სტატუსს. კერძოდ, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ თავისი შინაარსითა და მიზნებით ვერ პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ამიტომ უნდა იყოს ამოღებული სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან“ (№2.3.3). სასწავლო კურსის „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ სტატუსი პროგრამაზე მუშაობის დროს დამსაქმებლის რეკომენდაციით შეიცვალა და განისაზღვრა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით. ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ამ სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან ამოღების და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში გათვალისწინებული „მულტიკულტურული განათლების საფუძვლების“ სასწავლო კურსით ჩანაცვლების შესახებ. რაც შეეხება სასწავლო კურსს - „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“, სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, აღნიშნული საგანი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პროფესიული განათლების სპეციალისტის მომზადების საკითხში. ამასთანავე, მან დასძინა, რომ ამ სასწავლო კურსის სავალდებულო სტატუსით პროგრამაში გათვალისწინება ხელს არ უშლის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან თავსებადობას.

რეკომენდაციის სასწავლო კურსის „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში“ სილაბუსის ავტორებმა აღნიშნეს, რომ ეს ერთი სახელმძღვანელო, რომელიც არის მითითებული ძირითადად, გახლავთ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელიც გამოიცა 2018 წელს და ეს სახელმძღვანელო აერთიანებს ხარისხის მართვის სხვადასხვა მოდელს და ამავე დროს ქართულ რეალობაზეა მორგებული და საუკეთესო დამხმარე საშაუალებაა სტუდენტებისთვის. სწავლება სწავლის პროცესში გამოყენებული იქნება სხვა ნორმატიული აქტებიც, მაგრამ ეს სახელმძღვანელო ყველაფერს აერთიანებს.

ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა გამოკითხვის საკითხის და უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, არცერთი დამსაქმებელი არ გამოკითხულა არამიზნობრივად.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რამდენიმე საგანია, - “კვლევის მეთოდები განათლებაში” და „შესავალი განათლების კვლევაში“, სადაც 6 ლიტერატურიდან 4 მეორდება. მისი განცხადებით, ეს წიგნი ნაკლებად ეხება კვლევას განათლებაში. მისი შეფასებით, ეს უფრო არის აკადემიური წერის სახელმძღვანელო. ორივე საგანი არის სავალდებულო, რაც მისი თქმით, საპრობლემოა, რადგან სავალდებულო ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ერთი და იგივეა. მესამე საგანი არის ტექნოლოგიები, ხოლო ხათუნა მარწყვიშვილის საბაკალავრო ნაშრომის მითითება მან უარყოფითად შეაფასა.

უნივერსიტეტმა აღნიშნულზე უპასუხა, რომ კადემიური წერა საბაკალავრო საფეხურზე არის სავალდებულო კურსის სტატუსით, თუმცა არის სამი კრედიტის მოცულობით, რაც მათი

მოსაზრებით, დიდი წყვეტაა სამაგისტრო საფეხურამდე, რადგან სამაგისტროზე სავალდებულო კურსად არაა გათვალისწინებული აკადემიური წერა, მაინც აწყდებიან კვლევის გაფორმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი განცხადებით, სწორედ ამ მიზნითაა აღნიშნული სახემძღვანელოები შეტანილი. არჩევით კომპონენტში არის კვლევის სხვა კურსები, რომლის არჩევანის საშალებასაც ამლევენ სტუდენტებს.

კითხვა დაისვა საბჭოს წევრის მხრიდან იმის შესახებ, თუ რა პოზიციაზე მოიაზრება მათი კურსდამთავრებული და სთხოვა ზოგადი თემატიკა დაესახელებინათ იმის შესახებ თუ რა კუთხით აპირებენ კვლევების განხორციელებას ამ პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებული იქნება, როგორც - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, განათლების კოორდინატორი, ავტორიზაციის ექსპერტი და ა.შ

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 17:40**

**დასრულების დრო: 18:10**

## **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

ii საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

*კერძოდ, სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 სტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“*

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -16

წინააღმდეგი 0

## **აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები; საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგები უნდა იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული კვალიფიკაციასთან უფრო მეტ შესაბამისობაში;

- სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის ეფექტურად გამოყენების მიზნით, დაშვების წინაპირობად უნდა იყოს მითითებული B2;

- პროგრამის მიზნებს, შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის მიზნით, მოხდეს იდენტიფიცირება, ვინ იქნება კურსდამთავრებული, რა ცოდნა და კომპეტენცია უნდა გამოუმუშაოს პროგრამამ, დაიხვეწოს და ამოღებული იქნას ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც არ უკავშირდებოდა სწავლება-სწავლის მეთოდებსა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიასა და ტექნიკებს;

- პროგრამით განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ თავისი შინაარსითა და

მიზნებით ვერ პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ასევე არის კურსი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ 1 ლიტერატურა იყო მითითებული და ამ კუთხით შეიძლება მეტად მისი გამრავალფეროვნებაც;

- გამოკითხვის დროს დამსაქმებელი, მისი თქმით „უმჯობესი იქნება, იმ პროგრამის კუთხით იყოს გამოკითხული, რომელ პროგრამასაც სთავაზობს კურსდამთავრებულს.

- საგნებში „კვლევის მეთოდები განათლებაში“ და „შესავალი განათლების კვლევაში“, სადაც 6 ლიტერატურიდან 4 მეორდება, შესაცვლელია ძირითადი ლიტერატურა, რადგან წარმოდგენილი წიგნები ნაკლებად ეხება კვლევას განათლებაში და შინაარსით არის აკადემიური წერის სახელმძღვანელო. ხოლო ტექნოლოგიებში საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცვალოს კურსის შესაბამისი ლიტერატურით.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>2</sup> პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3<sup>2</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

**მესამე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	24/07/2015, N87
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული

10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 (I კორპ.)
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

ü არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადი კომპონენტები შეფასებულია, როგორც სტანდარტებთან შესაბამისი. მეორე და მესამე სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისობაში შეფასებული.

რაც შეეხება ძირითად რეკომენდაციებს:

მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება (8-10 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომელიც შესაძლებელს გახდის სტუდენტის მიერ მისი მიღწევის გაზომვასა და შეფასებას; რეკომენდებულია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის სასწავლო კურსების: „ეკო-ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები, მემკვიდრეობის ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“ -დასახელებები/სათაურები და სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა უფრო მეტად ითვალისწინებდეს ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, იგულისხმება სასწავლო კურსების დასახელებების და შინაარსის თანხვედრა; რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის არჩევით ბლოკში - უცხო ენების შეთავაზება გარდა B2.1 დონისა, მოხდეს A1/A2 და B1/B2 დონეებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს დაბრკოლების გარეშე დაძლიოს სასწავლო კურსი (უცხო ენა); რეკომენდებულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი შემუშავდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით - მიმართულებების (ტურისტული სააგენტო, განთავსების და კვების ობიექტები, დაცული ტერიტორია, მუზეუმი, სატრანსპორტო კომპანია) მიხედვით, რათა უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება; რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გარკვეული დოზით მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირება; რეკომენდებულია დაწესებულებამ უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს მაგისტრანტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში, პროექტებში ჩართულობის სტატისტიკა პროგრამის შედეგიანობის შეფასების მიზნით. ხოლო მიღებული 5 შედეგის



საფუძველზე შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებები მოცული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით; მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთა ურთიერთობის პროცედურები. ასევე, მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;

პროგრამას უნივერსიტეტი, ექსპერტის თქმით, ახორციელებს 2015 წლიდან და მან აღნიშნა რომ დაწესებულებას აქვს საკმაო გამოცდილება ამ პროგრამის გამართულად წარმართვისათვის.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, პროგრამის სამუშაო ჯგუფი ეთანხმება ამ რეკომენდაციების. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები, ერთი მხრივ, შემჭიდროვდება და უფრო კომპაქტური გახდება, რაც შეეხება სასწავლო კურსებს, ის ეთანხმება ექსპერტებს. კურსი “მემკვიდრეობის ეკონომიკა” ჩასვეს პროგრამაში, რათა კარგად დაანახოს ამ კურსმა სტუდენტს კომერციალიზაციის მეშვეობით მემკვიდრეობის შენარჩუნების წარმატებული პრაქტიკა და აპრობირებული მოდელები და ამ გზით მეტად უბიძგოს მას პრაქტიკაში მდგრადი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებისკენ.

რაც შეეხება ფინანსურ მენეჯმენტს, მისი განმარტებით, დასაწყისში ახლავდა პატარა შესავალი, რომელიც დაემატა, რადგან სტუდენტმა, რომელიც სხვა სპეციალობიდან მოვიდა ტურიზმის მენეჯმენტზე, რაღაც პატარა მონახაზი გაიგოს თუ რაზეა საუბარი.

მისი განმარტებით, ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიების დანიშნულება იყო ის, რომ მიმოეხილა თანამედროვე ტურიზმის სფეროში რა არის ახალი ტექნოლოგიური სიახლეები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, პროგრამის სამუშაო ჯგუფი ეთანხმება ამ რეკომენდაციას. სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი გადაკეთებული იქნება ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი იზიარებს ექსპერტების აზრს სილაბუსებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ისინი იღებენ ნებისმიერი ენის ცოდნით სტუდენტებს. ძირითად ლიტერატურაში ქართულის გარდა, მითითებული აქვთ ინგლისური სახელმძღვანელო, უფრო კონკრეტულად - ბოლო წლების გამოცემები. მათი სტუდენტები, საბჭოს წევრის განცხადებით, ვერ წაიკითხავენ არსებულ ლიტერატურას. მან სთხოვა გაეთვალისწინებინათ, რომ ფორმალურად არ ყოფილიყო სახელმძღვანელოები მითითებული.

მათი განმარტებით, რამდენიმე სილაბუსში ერთ საკითხს ანუ თითო თემას ეთმობა თითო შეხვედრა. არიან სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ საბაზისო ფინანსური განათლება. მათი თქმით, რთულია ფინანსური საკითხების გაგება, როცა არ ფლობენ მასზე ბაზისურ ცოდნას.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უნდა იყოს დამატებითი გაძლიერებული საათები. ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიების სილაბუსი. მისი განმარტებით, ეს ბაკალავრიატის დონესთან შესაბამისობაში არ მოდის. ის ექსპერტების მოსაზრებას იზიარებს თუმცა მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს ორი საგნის დამატება, ესენია: “რისკების მართვა” და “ოპერაციათა მენეჯმენტი”, რადგან მთელი ტურიზმი არის ოპერაციებზე აწყობილი. მენეჯერი არ შეძლება გახდეს ერთი პროგრამით.

აღნიშნა საგანი “სასატუმროების მართვა”, სადაც მისი განცხადებით ფინანსები ძალიან მწირედ არის წარმოდგენილი.

დაწესებულებამ უპასუხა, რომ უცხო ენასთან დაკავშირებით ეთანხმება და საჭიროა სავალდებულოდ მოეთხოვოს სტუდენტს. ასევე დაეთანხმა, რომ უნდა იყოს ინგლისურში

გამოცდა. ფინანსებთან დაკავშირებით და საინფორმაციოსთან დაკავშირებითაც გამოაცხადა მზაობა გადახედვის. მათ აღნიშნეს, რომ რისკების მართვის საგანი უკვე შეიტანეს არჩევით საგნად.

საბჭოს წარმომადგენელმა, საუბრის დასასრულს კომენტარი გააკეთა და დადებითად შეაფასა ის გარემოება, რომ დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს C1 პროფესიულ დონეს, თუმცა დაამატა ისიც, რომ საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით C1 და B2 დონის სწავლება აუცილებელია. ენის სწავლებისას უნდა შეეძლოს იმ დონის საერთაშორისო სერტიფიკატით დადასტურება პედაგოგს, რომელსაც ასწავლის და სთხოვა ამაზეც გაემახვილებინათ ყურადღება.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:00**

**დასრულების დრო: 19:10**

## **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

ü საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ პირველი სტანდარტის შეფასებანაცვლად, „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრაროგ ორც, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ასევე მე-2 სტანდარტის შეფასებანაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრაროგ ორც, ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -16

წინააღმდეგი-0

## **აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

ა) მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება (8-10 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომელიც შესაძლებელს გახდის სტუდენტის მიერ მისი მიღწევის გაზომვასა და შეფასებას;

ბ) რეკომენდებულია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის სასწავლო კურსების: „ეკოტურიზმის ბიზნესის საფუძვლები“, „ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „მემკვიდრეობის ეკონომიკა“, „ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“ -დასახელებები / სათაურები და სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა უფრო მეტად ითვალისწინებდეს ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, იგულისხმება სასწავლო კურსების დასახელებების და შინაარსის თანხვედრა;

გ) რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის არჩევით ბლოკში-უცხო ენების შეთავაზება გარდა B2.1 დონისა, მოხდეს A1/A2 და B1/B2 დონეებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს დაბრკოლების გარეშე დაძლიოს სასწავლო კურსი (უცხოენა);

დ) რეკომენდებულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი შემუშავდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით-მიმართულებების (ტურისტული სააგენტო, განთავსების დაკვების ობიექტები, დაცული ტერიტორია, მუზეუმი, სატრანსპორტო კომპანია) მიხედვით, რათა უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება;

ე) რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გარკვეული დოზით მოხდეს პრაქტიკული კომპენენტის ინტეგრირება;

ვ) რეკომენდებულია დაწესებულებამ უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს მაგისტრანტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო /ადგილობრივ კონფერენციებში, პროექტებში ჩართულობის სტატისტიკა პროგრამის შედეგიანობის შეფასებისმიზნით. ხოლო მიღებული შედეგის საფუძველზე შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებები მოცული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;

ზ) მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთა ურთიერთობის პროცედურები. ასევე, მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

თ) რეკომენდებულია დაემატოს ორი საგანი „რისკების მართვა“ და „ოპერაციათა მენეჯმენტი“. გადაიხედოს „ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სილაბუსი და მოხდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების მეტი ინტეგრაცია პროგრამაში;

ი) რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების და შედეგების დაზუსტება;

კ) რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ცვლილება მიზნებთან მიმართებით;

ლ) რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების ლოგიკური ბმა და კურიკულუმი ვითარდებოდეს მარტივიდან რთულისკენ.

მ) რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების საგამოცდო საკითხებში უკეთ შეფასდეს სტუდენტს ცონდა მარკეტინგსა და ფინანსებში, რათა დაძლეულ იქნას სასწავლო კურსებში: „სტრატეგიული მარკეტინგი ტურიზმში“ და „ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“.

### გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>2</sup> პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3<sup>2</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთას რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტს ერთობლივი პროგრამა
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2020 წლის 12 მარტი, გადაწყვეტილება #31
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მერაბ ალექსიძის №10; საქართველო, ქ. თბილისი, 0128, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1; საქართველოს, ქ. თბილისი, 0132, პ. სააკაძის №1;
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü დიახ

ირაკლი ბურდული, გურანდა ჭელიძე, ნიკოლოზ კიკნაძე, ირმა წერეთელი. მათი თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სახდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტის განცხადებით, სტანდარტის დასახელება იყო სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. მან კომპონენტის დასახელებად წარმოადგინა სწავლა-სწავლების მეთოდები, ხოლო რეკომენდაციად აღნიშნა, ის რომ სწავლის პროცესი განხორციელებულიყო კონკრეტული შემთხვევების განხილვის საფუძველზე (Case study). შეფასების თვალსაზრისით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტები არ ეთანხმებიან კონკრეტულ რეკომენდაციას და მიიღეს გადაწყვეტილება არ გაითვალისწინონ ის. მისი მოსაზრებით, სწავლის პროცესი უნდა იყოს გამრავალფეროვნებული სწავლების სხვა მეთოდებითაც. სილაბუსებში გათვალისწინებულია არა მხოლოდ case study, არამედ სხვა სწავლების მეთოდებიც, სწორედ ამიტომ იზიარებს უნივერსიტეტების გადაწყვეტილებას. შემდეგი რეკომენდაცია იყო - საგანმანათლებლო პროგრამისა და სტრუქტურის შესახებ. გასწორებული იყო სილაბუსში აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები. ასევე იყო რჩევა, რომელიც შეეხებოდა სასწავლო კურსებს, „სოციალური კვლევის მეთოდები 1“ და „სოციალური კვლევის მეთოდები 2“, სილაბუსებში ჩასწორდა კურსების სტატუსი. „არჩევითი“ ნაცვლად, მათ მიენიჭა სტატუსი - „სავალდებულო“. ანალოგიური პროცედურა გატარდა კურსი: „სოციალური მეცნიერებები და შრომითი ურთიერთობების“ სილაბუსშიც. აქ სტატუსი „სავალდებულო,“ ჩანაცვლდა სტატუსით - „არჩევითი“. გასწორებულია საკონტაქტო საათების რაოდენობაც. ასევე კურსების, „სოციალური კვლევის მეთოდები 1“ და „სოციალური კვლევის მეთოდები 2“, სილაბუსებში, სწავლების შედეგების კომპონენტში გაპარულია მცირე ტექნიკური ხარვეზი: ქართული წინადადებები აკრეფილია ინფლისური შრიფტით. „სოციალური მეცნიერებები და შრომითი ურთიერთობების“ სილაბუსში არაა დაცული ლიტერატურის მითითების სტანდარტი. სასურველია, უკანასკნელი კურსის გამდიდრება აკადემიური წყაროებით. ამასთან თსუ-ს სილაბუსებში არსად არაა მითითებული სასწავლო კურსის კოდი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასწორებულია საკონტაქტო საათები.

ექსპერტი გადავიდა მეოთხე სტანდარტზე, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, სტუდენტების ინფორმირების მიზნით, უნდა დაზუსტებულიყო ნაშრომის მომზადება-დაცვა და სამ სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებობის შესაძლებლობა. მისი განცხადებით უნივერსიტეტები თვლიან, რომ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში სამივე პარტნიორი უნივერსიტეტი თანაბრადაა ჩართული სასწავლო, მათ შორის სამაგისტრო თეზისის შექმნის, პროცესში. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. დადგენილი პროცედურის მიხედვით, ხსენებული უნივერსიტეტის სამართლის სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანის ბრძანებით სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის კომისია კომპლექტდება სამივე უნივერსიტეტიდან (ორი წარმომადგენელი) პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალით. აღნიშნული რეკომენდაცია გასცა უშუალოდ სააკრედიტაციო საბჭომ. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტების გადაწყვეტილება მისთვის არის მისაღები.

შემდეგი კომპონენტის დასახელება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. რეკომენდაციის სახით მან აღნიშნა, რომ სასურველია გათვალისწინება იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ვიზუალური გაფორმება უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, სამივე, საგანმანათლებლო დაწესებულების იდენტიფიცირებას. უნივერსიტეტები არ იზიარებენ აღნიშნულს და ისიც ეთანხმება.

შემდეგ რეკომენდაციად ექსპერტმა წარმოადგინა კურსში, „აღმოსავლეთ ევროპის სოციო-ეკონომიკური ტრანსფორმაცია“, ტერმინი „სოციალიზმი“ უნდა ჩანაცვლებულიყო „სოციალისტურით“. ის ეთანხმება უნივერსიტეტების გადაწყვეტილებას. მით უმეტეს, ტერმინი ბრჭყალებშია ჩასმული, რაც მიუთითებს აღნიშნული რეჟიმის არაკლასიკურ ფორმატზე.

იყო ასევე რეკომენდაცია, რომ გამრავალფეროვნდეს ლიტერატურა (წყაროებში მიეთითოს თანამედროვე და აქტუალური, მათ შორის კვლევითი ნაშრომები) და სილაბუსებში მიეთითოს რელევანტური მასალა და ადეკვატური მოცულობის ლიტერატურა. მისი თქმით, სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ გათვალისწინებულია აღნიშნული რეკომენდაცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.**

მათ არ გამოუთქვამთ აზრის გამოხატვის სურვილი და არ გაუკეთებიათ კომენტარი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:50**

**დასრულების დრო: 19:05**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**მეხუთე საკითხი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

**მეექვსე საკითხი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

**მეშვიდე საკითხი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილში: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მეღვინეობის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

**მერვე საკითხი:** „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №243 გადაწყვეტილების დანართსა და №67 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში დაფიქსირებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

საკითხის ერთგვაროვნების გამო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვეტიეს რომ აღნიშნული საკითხები განეხილად ერთად.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, განაცხადა, რომ საგამოცდო ანკეტა-კითხვარებისათვის ინფორმაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო, შპს კავკასიის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მელვინეობის“ საბაკალავრო და „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციებში ფიქტირდება ტექნიკური ხაციათის შეცდომა, კერძოდ კვალიფიკაციის ფორმულირებაში დაშვებულია გრამატიკული შეცდომები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფაში ნაცვლად პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრისა უნდა ფიქსირდებოდეს **პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი**;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფაში ნაცვლად სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში უნდა ფიქსირდებოდეს **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში**;
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილში: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მელვინეობის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფაში ნაცვლად აგრარული მეცნიერებების ბაკალავრისა უნდა ფიქსირდებოდეს **აგრარულ მეცნიერებებათა ბაკალავრი**;
4. „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №243 გადაწყვეტილების დანართ №1-ში და №67 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში დაფიქსირებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების გრაფაში ნაცვლად ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტში უნდა ფიქსირდებოდეს **მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი**

**საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებთან დაჯავშირებით** საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოაღნიშნულ ოქმებსა და გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

მეხუთე საკითხი:

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28

მარტის №20 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით **პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი**; მეექვსე საკითხი:

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში**;

**მეშვიდე საკითხი:**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილში: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ქართული მევენახეობა-მელვინეობის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით **აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი**;

**მერვე საკითხი:**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №243 გადაწყვეტილების დანართ №1-ში და №67 სხდომის ოქმის მესამე ნაწილში დაფიქსირებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით **მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი**

**მეცხრე საკითხი:** „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037786 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

**მეათე საკითხი:** „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037986 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;



**მეთერთმეტე საკითხი:** “სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1038166 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

საკითხის ერთგვაროვნების გამო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვეტიეს რომ აღნიშნული საკითხები განეხილად ერთად.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, განაცხადა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა მითითებულია არასწორად, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037786, № 1037986 და № 1038166 გადაწყვეტილების დასახელებაში, აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.1 და 2.2 პუნქტებში, სარეზოლუციო ნაწილის პირველ და მეორე პუნქტში უნდა ჩასწორდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ნაცვლად საჯარო სამართლის იურიდიული პირისა (სსიპ) უნდა მიეთითოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

**საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით** საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

მეცხრე საკითხი:

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037786 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი;

მეათე საკითხი:

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს „სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037986 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი;

**მეთერთმეტე საკითხი:**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 15


წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს “სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1038166 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი;

**საბჭოს სხდომა დასრულდა 19:11 საათზე.**


საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის მდივანი  
ტუფინაშვილი თამარ

